GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

NEWSLETTER

მარტი, 2017

ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბიზნეს სექტორს შეხვდა

ტრენინგები

ტრენინგი შრომითი ურთიერთობების საკითხებში

შეხვედრები

კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების განხილვა

ასოციაციის წევრი კომპანიების შეხვედრა ქ. თბილისის მერთან

ბიზნეს გაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული პროექტის "ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან" ფარგლებში ქ. თბილისის მერი დავით ნარმანია ასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი დედაქალაქში მიმდინარე პროექტებსა და სამომავლო გეგმებს შეეხო. ასევე, შეხვედრაზე დამსწრე ბიზნესმენებს ინფორმაცია ქალაქის გენერალური გეგმის, საგზაო ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო პროექტების შესახებ მიაწოდა.

შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო დისკუსიის რეჟიმს. მეწარმეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მერიის წარმომადგენლებთან ერთად შემდეგ საკითხებზე მსჯელობა:

• რა კეთდება მერიის მიერ დამატებითი ინვესტიციის მოსაზიდად, ადგილობრივი მეწარმეობის მხარდასაჭრად და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით; რა არის ამ მიმართულებით, მომავალში მოსალოდნელი.

• რა მდგომარეობაა თბილისში ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, რა კეთდება თბილისში ნარჩენების გადამუშავების კუთხით და სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

• ტაქსების მოძრაობის მოწესრიგების საკითხები: მოუწესრიგებელი მოძრაობა, ტექნიკური გაუმართაობის პრობლემები, პარკირების წესები, ადგილები და სხვ.

• საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობისა და მეწარმეობის მხარდაჭრის კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრობლემების გადაწყვეტას, რომელსაც აწყდებიან მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ახალი საწარმოების ამოქმედებისას. კონკრეტულად ქალაქის ინფრასტრუქტურულ კომუნიკაციებთნ (ელექტროენერგია, წყალი, კანალიზაცია და გზა) მიერთების პორცესში. რა ღონისძიებებს ატარებს მერია, მათი დახმარებისა და ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

• რა ხელშეწყობა შეიძლება გაუწიოს პროდუქტის პოპულარიზების მიზნით მცირე მეწარმეებს თბილისის მერიამ.

• ასევე, მერიის ხედვა, პოზიცია ქალაქის განაშენიანებასთან მიმათებაში და ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავების პროცესის მიმოხილვა.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრას ქონების მართვის სააგენტოს უფროსი კარლო ლაფერაძე, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ზურაბ წიკლაური, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი გოგა წერეთელი და ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი კახა გვანცელაძე ესწრებოდნენ.

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ (GEA) აგრძელებს შეხვედრების ორგანიზებას სამთავრობო სტრუქტურის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ბიზნეს სექტორსა და სახელმწიფოს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით.

შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და „საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის“ ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ბიზნეს სექტორსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი გახარიას შორის.

შეხვედრა მიზნად ისახავდა, რომ კერძო სექტორს უშუალოდ მინისტრისგან მიეღო ინფორმაცია ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული იმ ინიციატივებისა და რეფორმების შესახებ, რომლებიც დაგეგმილია და ეტაპობრივად ხორციელდება სამინისტროს მიერ.

შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო დისკუსიის რეჟიმს, რომლის ფარგლებშიც ბიზნეს წრეების წარმომადგენლებმა სამინისტროს მხარეს აცნობეს მათ წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ და იმსჯელეს მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე.

შეხვედრაზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვებში წახალისების მიმართულება; საექსპორტო პოტენციალი და მის გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები; საერთაშორისო გადაზიდვების სექტორში ლარში ფასდადების აუცილებლობის საკითხი; მცირე მეწარმის დაბეგვრის ზედა ზღვრის დაწესება და ა.შ.

შეხვედრას, რომელიც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა, ესწრებოდა 80-მდე კომპანია, სექტორული ბიზნეს ასოციაციები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები გენო არველაძე და გიორგი ჩერქეზიშვილი, ასევე მინისტრის მრჩეველი მაია გიორგაძე.

მსგავსი ფორმატის შეხვედრებს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სისტემატურად მართავს წევრი კომპანიებისთვის, რათა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია კერძო და საჯარო სტრუქტურებს შორის.

კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების განხილვა

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ ბიზნეს სექტორმა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ იმ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი განიხილა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ბიზნესისთვის საჯარიმო სანქციები შრომის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობისთვის. საგულისხმოა, რომ კანონპროექტის მიხედვით შრომის ინსპექციას ექნება უფლება სასამართლოს ნებართვის გარეშე ნებისმიერ დროს შევიდეს საწარმოში და შეამოწმოს ყველა ის პირობა და მათ შორის, ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შრომის კანონმდებლობის შეუსრულებლობასთან.

შეხვედრაზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრედიზენტი და შრომის სამართლის ექსპერტი მიშა კორძახია, ბიზნეს სექტორის წარმომადგნლებმა მიიღეს ინფორმაცია უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და იმსჯელეს იმ მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს აღნიშნული კანონმდებლობის ამოქმედებას.

„ყველა ვთანხმდებით, რომ კანონმდებლობა რაც დღეს გვაქვს არის საკმაოდ ხარვეზიანი, მაგრამ ორგანო, რომელიც ჯერ ჩანასახშია შრომის ინსპექციის სახით, მგონია მზად არ იქნება მთელი საქართველოს მასშტაბით ბიზნესთან აწარმოოს ის პარტნიორული ურთიერთობა, რომლიც გსურს რომ იყოს ამ სანქცირების პირობებში. ყველაზე პრობლემურია, სასამართლოს გვერდის ავლით ბიზნესში შესვლის შესაძლებლობის მიცემა. შეგვიძლია რისკებზე ვივარაუდოთ, რადგან ამ კუთხით დამოკიდებულებები იქნება საფრთხის შემცველი და პრობლემების მომტანი. ის გარანტია, რომ სასამართლოს მეშვეობით იქნებოდა შემაკავებელი მექანიზმი, ისპობა. იქნება უეცარი შემოწმებების მომენტი, რაც ჯერ ნდობის მოპოვებას საჭიროებს“, - განაცხადა მიშა კორძახიამ.

ცვლილებები მომზადებულია შემდეგი საქართველოს კანონებისთვის:

- „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ კანონი
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი
- „სამეწარეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონი
- „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“
- „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონი
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი
- შრომის კოდექსი
- „შშმპ-თა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ეს საკანონმდებლო ცვლილებების სრული პაკეტი, უახლოეს პერიოდში მთავრობის მიერ მისი მოწონების შემდეგ პარლამენტში გადაიგზავნება განსახილველად და ამოქმედების შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს ძვრებს გამოიწვევს შრომით ურთიერთობებში. „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ ბიზნეს სექტორის მიერ შეჯერებულ ერთიან პოზიციას წარუდგენს საჯარო სტრუქტურებს სამმხრივი სოციალური დიალოგის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრაზე.

ტრენინგი შრომითი ურთიერთობების საკითხებში

16-17 მარტს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი შრომითი ურთიერთობების საკითხებში. კერძოდ, „შრომის კანონმდებლობის პრობლემური ნორმები, პრაქტიკული მაგალითების განხილვით კომპანიის შრომის პოლიტიკის სრულყოფა“.

ტრენინგი რამდენიმე მიზანს ისახავდა. კერძოდ:

• მონაწილეებმა ერთობლივად შეიმუშაონ სფეროს, როგორც მარეგულირებელი სარეკომენდაციო, ისე სამუშაოზე პრაქტიკულად გამოსაყენებელი ნორმები;

• შრომითი ხელშეკრულებების ფორმატის თაობაზე ხედვების შამოყალიბება და განხილვა;

• სადავო ნორმების განხილვა და საუკეთესო პრაქტიკის რანგში მონაწილეების მიერ სარეკომენდაციო შინაარსის კონსულტაციების მიშება ქალთა შრომითი უფლებების მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

• თემატიკასთან თანხვედრაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის კონვენციებითა და დირექტივებით განსაზღვრული ნორმების გაცნობა და პერსპექტივაში მათი ხელმძღვანელობის შესაძლებლობების განსაზღვრა.

ტრენინგს, რომელსაც უძღვებოდა შრომის საერთაშორისო ექსპერტი, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მიშა კორძახია, ესწრებოდნენ იურისტები და HR მენეჯერები.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ სისტემატურად სტავაზობს კომპანიებს მათთვის აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე ტრენინგებს, რათა მაქსიმალურად ეფექტური და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობაზე მორგებული გახდეს მათი საქმიანობა.

ჩეროს პრეზენტაცია

"საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ ასოციაციის წევრ ს.ს ქართული ლუდის კომპანიას მიულოცა ახალი პროდუქტის "ჩეროს" პრეზენტაცია.

პირველი ქართული ნატურალური წვენი - „ჩეროს“ საინვესტიციო ღრებულება 25 მილიონი ლარია. პროექტი ხორციელდება "აწარმოე საქართველოში" მხარდაჭერით.

ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსი ბიზნეს ასოციაციებთან განიხილა

ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით კანონმდებლობის დახვეწის, მისი ლიბერალიზაციის კუთხით მიმდინარე სამუშაოები, აგრეთვე საგადასახადო კოდექსში არსებული ბუნდოვანი მუხლებისა და რეგულაციების დაზუსტების საკითხები განიხილეს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, ბანკების ასოციაციისა და დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებთან ფინანსთა სამინისტროში.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ლაშა ხუციშვილმა და საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მამუკა ბარათაშვილმა, შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ლევან წითელაშვილმა ასოციაციის წევრებისგან მოისმინეს ის შეკითხვები და წინადადებები, რომელიც უკავშირდებოდა როგორც მოგების გადასახადის რეფორმით გათვალისწინებულ ახალ რეგულაციებს, ისე კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ნორმებს.

შეხვედრა ვეტერანებთან

1-ელ მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით უწყების ბენეფიციართათვის გაიმართა საქართველოში მოქმედი ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი დანიელ გახარია, როლმაც გააკეთა მოხსენება ბიზნეს პროგრამებსა და პროექტებში ვეტერანების პრაქტიკული ჩართულობის შესახებ. აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამართული მსჯელობის ფარგლებში დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა პასუხები გასცა დამსწრე საზოგადოებისთვის საინტერესო შეკითხვებს.

მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სახელმწიფო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „მეწარმეობის ხელშეწყობის სააგენტო“ - პროგრამა - “აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო - პროგრამა „დანერგე მომავალი“, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, საპარტნიორო ფონდი, ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა - „სტარტაპ საქართველო“ და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია.

საქართველო-იტალიის ერთობლივი ბიზნეს ფორუმი

ბიზნეს გაერთიანება "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე მონაწილეობას იღებდა საქართველო-იტალიის ერთობლივ ბიზნეს ფორუმში, რომელიც გახსნა საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. ფორუმზე პრემიერმა წამყვანი იტალიური ბიზნესის წარმომადგენლებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებისა და მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის შესახებ.

დაბალი ტარიფები, მსუბუქი საბაზრო რეგულაციები, ბაზრის ფიზიკური და ნორმატიული ხელმისაწვდომობა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება, გეოსტრატეგიული მდებარეობა, მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო სისტემა და გზატკეცილები, ეკონომიკურ ზრდასა და ბიზნესის წახალისებაზე ორიენტირებული მიმდინარე რეფორმები - დასახელდა საქართველოში არსებული მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ძირითად მახასიათებლებად.

ბიზნეს გაერთიანება GEA
მის.: 0159, ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი
ტელ.: +995 32 2 14 73 73 მობ.: +995 579 555 551
ელ.ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge
www.facebook.com/GEA